გილოცავთ ახალ, 2025 წელს!

გარეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №1-2(№327-328) 2025 წ. 1-31 იანვარი ფასი 2 ლარი

რეგიონის მასშტაბით პირველი

საგარეჯოში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მშენებლობა დასრულდა

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ***კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა*** **ბიორბი ალადაშვილმა** და საგარეჯოს ***მუნიციპალიტეტის მერმა*** **ავთანდილ გულიკაშვილმა** გახსნეს.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა არსებული ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს და სამედიცინო პერსონალს შეხვდნენ.

ი ცენტრი უზრუნველყოფს ისეთ სერვისებს როგორიცაა: ეპიდზედამხედველობა, იმუნიზაცია, პროფილაქტიკური აცრები, მალარიის ელიმინაციის პროგრამა, აცრების ლოჯისტიკა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ბაზაზე, ასევე, ფუნქციონირებს პარაზიტოლოგიის ლაბორატორია.

საგარეჯოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სამშენებლო სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა, პ***როექტის ჯამურმა ღირებულებამ -1 185 071,59 ლარი შეადგინა.***

დაჯილდოება

2024 წლის 8 დეკემბერს საგარეჯოს ცენტრალურ სტადიონზე 2024 წლის სეზონის დასკვნით 36-ე ტურის მატჩს "გარეჯი-1960" ეროვნული ლიგა 2-ის გამარჯვებულის რანგში შეხვდა და ერთი ტურით ადრე უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა.

მუნიციპალიტეტის მერის **ავთანდილ გულიკაშვილის** ინიციატივით გუნდის ყველა წევრისა და ადმინისტრაციული ჯგუფისთვის საზეიმო ღონისძიება გაიმართა და მიღწეული წარმატებისთვის, გუნდის განაცხადში მყოფ 23 ფეხბურთელს, ***საფეხბურთო კლუბი „გარეჯი-1960"-ის პრეზიდენტს*** - **ლაზარე დათუნაშვილს**, გუნდის მთავარ მწვრთნელსა და ფეხბურთის კლუბის ***13 წარმომადგენელს მადლობის სიგელები, სპეციალური სიმბოლური ჯილდო და ფულადი პრიზი გადაეცა.***

მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით, წლის საუკეთესო ბომბარდირს - ლევან პაპავას, როგორც სეზონის საუკეთესო მოთამაშეს, დამატებითი პრემია გადაეცემა.

გალა ღონისძიებას ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე*** **ალექსი ბილაშვილი** და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„წარმატება ასე არ მოდის. ეს გახლავთ უდიდესი შრომა, თავდადება, ნიჭი, შემართება და საქმისადმი სიყვარული. საგარეჯოს სპორტის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგით და თქვენი მიღწევით სიამაყის განცდა შეგვძინეთ. ქართული ფეხბურთი ჩვენი სამშობლოს სპორტის ისტორიაა, მისი განვითარების გზა, კულტურის უწყვეტობის, თვითმყოფადობის სიმბოლო. თითოეულ ჩვენგანს კარგად გვესმის უდიდესი პასუხისმგებლობა ქართული სპორტის მემკვიდრეობის გადარჩენისა და შენარჩუნების საქმეში. სპორტის განვითარება თითოეული ჩვენგანის ეროვნული ვალია. ჩვენ, არ დავიშურებთ ძალისხმევასა და ხელშეწყობას, რომ კიდევ და კიდევ მეტ წარმატებას მიაღწიოთ." - განაცხადა **ავთანდილ გულიკაშვილმა.**

ქეთი გრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

17 დეკემბერი, 2024 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის მორიგ, ბოლო სხდომას ***ამავე საკრებულოს თავმჯდომარე* ალექსი ბილაშვილი** უძღვებოდა.

დღის წესრიგის გაცნობისა და კენჭისყრის შემდეგ დღის წესრიგის I საკითხზე ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“*** მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა* თინათინ ძაბილაშვილმა**. მან საკრებულოს სხდომის მონაწილეებს გააცნო ახალი, 2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ,რომელიც ასეთია:

ბიუჯეტის პარამეტრები

შემოსულობები

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების პროგნოზი შეადგენს 37317,1 ათას ლარს ანუ 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 4640,4 ათასი ლარით 14.2 %-ით, დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით (ნაშთის ცვლილების გათვალისწინებით) შემცირებულია 14792,2 ათასი ლარით(-28,4 %), შემოსავლები შეადგენს 37207,1 ათას ლარს, **მათ შორის**:

1) **საქართველოს** პარლამენტისათვის წარდგენილი „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტის და საქართველოს პარლამენტში ინიცირებული „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საფუძველზე გადამუშავებული ფისკალური პროგნოზების შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მ.წ. 3 დეკემბერს 04-03/89277 წერილით მიღებული საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 34764,7 ათასი ლარით, **მათ შორის**

ქონების გადასახადი 6000,0 ათასი ლარია, 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 250,0 ათასი ლარით (4,3 %),

დამატებული ღირებულების გადასახადი 2025 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიიმართება გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახდის 1,40 %, რაც ნომინალურ გამოხატულებაში საორიენტაციოდ შეადგენს 28764,7 ათას ლარს, რომელიც დაკორექტირდება საკასო შემოსავლების მიხედვით, რაც 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 4328,4 ათასი ლარით (17,7 %),

2) გრანტი მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 274.1 ათასი ლარი,

3) სხვა შემოსავლები 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 57,0 ათასი ლარით (2,7%), დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით შემცირებულია 527,5 ათასი ლარით (-19,5 %) და შეადგენს 2171,0 ათას ლარს, მათ შორის:

შემოსავლები პროცენტებიდან შეადგენს 300,0 ათას ლარს(დამტკიცებულ ბიუჯეტთან შემცირებულია 500,0 ათასი ლარით, -62,5 %, დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით)1084,5 ათასი ლარით, -78,3 %;

რენტა 860,0 ათას ლარს, გაზრდილია 300,0 ათასი ლარით, 53,6 %;

ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები განსაზღვრულია 155,0 ათასი ლარით (ზრდა 63,0 ათასი ლარი, 68,5 %), მათ შორის: სანებართვო მოსაკრებელი 95,0 ათასი ლარით, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 60,0 ათასი ლარით;

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება შეადგენს 6,0 ათას ლარს(შემცირებულია 6,0 ათასი ლარით, -50 %);

ჯარიმები, სანქციები და საურავები შეადგენს 600,0 ათას ლარს, (ზრდა 50,0 ათასი ლარი, 9,1 %);

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 250.0 ათას ლარს, (ზრდა 150,0 ათასი ლარი, 150,0 %);

არაფინანსური აქტივების კლება განსაზღვრულია 110,0 ათასი ლარით, მათ შორის:

ძირითადი აქტივები 20,0 ათასი ლარია, არაწარმოებული აქტივები 90,0 ათასი ლარი, (2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 5,0 ათასი ლარით (4,8 %), დაზუსტებული ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 680,4 ათასი ლარით (-86,1%);

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

ბიუჯეტით გათვალისწინებული გადსახდელების მოცულობა შეადგენს 37317.1 ათას ლარს, 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 4640.4 ათასი ლარით (14.2 %), დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით შემცირებულია 14792.2 ათასი ლარით (-28.4 %), 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების პროგნოზი 30974.0 ათასი ლარია, გაზრდილია 2024 წლის ბიუჯეტთან შედარებით დამტკიცებულთან 20.8 %-ით, დაზუსტებულთან მიმართებაში 8.4 %-ით, მ.შ.: შრომის ანაზღაურება 5042,4 ათასი ლარია, 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით საბაზო თანამდებობრივი სარგო 2024 წელთან შედარებით იზრდება 10%-ით და განისაზღვრება 1460 ლარის ოდენობით, რაც უზრუნველყოფს საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასების ზრდას ასევე 10%-ის ოდენობით; საქონელი და მომსახურება 5942,0 ათასი ლარი (დამტკიცებული +6,4 %, დაზუსტებული -7,7%); პროცენტი 6,1 ათასი ლარი (-52,3%); სუბსიდიები 15979.8 ათასი ლარი(დამტკიცებული+27,3 %, დაზუსტებული +19,6 %); გრანტები 230,0 ათასი ლარი, გაზრდილია 2,9 %; სოციალური უზრუნველყოფა 2343,8 ათასი ლარი (დამტკიცებული+18,7 %, დაზუსტებული +8,4 %); სხვა ხარჯები 1429,9 ათასი ლარი (დამტკიცებული+46 %, დაზუსტებული -47,2 %); არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 6289,8 ათასი ლარით, (დამტკიცებული-9,8 %, დაზუსტებული -73,2 %); ვალდებულების კლება 53,3 ათასი ლარია.

პროექტში პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 7909,2 ათას ლარი ((დამტკიცებული+16,2 %, დაზუსტებული +13,5 %); ,მათ შორის: მუნიციპალიტეტის საკრებულო 1685,8 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია 5464,0 ათასი ლარი, აქედან საგარეჯოს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის უზრუნველყოფის მიზნით გაიხარჯება 67,6 ათასი ლარი; სარეზერვო ფონდი 700,0 ათასი ლარი; მგფ-ს და სხვა დავალიანების დაფარვა 59,4 ათასი ლარი;

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია დაფინანსდება 9143,8 ათასი ლარით (დამტკიცებული (-13,7) %, დაზუსტებული (-58,7) %); ,მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება 4183,9 ათასი ლარი, აქედან გზების მიმდინარე შეკეთებაზე გათვალისწინებულია 50,0 ათასი ლარი, შ.პ.ს.“საგარეჯო“ დაფინანსდება 828,7 ათასი ლარით; ახალი გზების მშენებლობაზე გათვალისწინებულია 3283,6 ათასი ლარი, განხორციელდება:

სოფელ მულანლოში სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, დაფინანსდება სამუშაოების მონიტორინგი და საპროექტო მომსახურება, დასრულდება: სტიქიის შედეგად დაზიანებული სოფელ კაკაბეთის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, სოფელ დიდ ჩაილურში მე-5 ქუჩის რეაბილიტაცია, სოფელ პატარა ჩაილურში ე.წ. ჩიხლაძეების უბნის რეაბილიტაცია, პროგრამაში გათვალისწინებულია აგრეთვე რგფ-ს თანადაფინანსების ხარჯი; საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების პროგრამაში გათვალისწინებულია 21,6 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი და ზოგადი ხედვის ვიდეო სათვალთვალო კამერების კომპლექტების მოვლა-პატრონობის მომსახურების ხარჯისათვის;

წყლის სისტემების განვითარება 2282,2 ათასი ლარი, ***მათ შორის:*** სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამით გამოყოფილია 1225,4 ათასი ლარი, გათვალისწინებულია სასმელი წყლის ჭაბურღილების შესაკეთებლად ამქაჩი ტუმბოების, მილების შესყიდვა, მუნიციპალიტეტის ტერიტირიაზე არსებული საკანალიზაციო სისტემის გაწმენდა, სასმელი წყლის ჭაბურღილებზე დახარჯული ელენერგიის ხარჯის დაფინანსება; სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია-ა(ა)იპ.საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირების და ლაბორატორიული კვლევის ცენტრი დაფინანსდება 1056,8 ათასი ლარით;

გარე განათება 1900.0 ათასი ლარი, ეს არის გარე განათების ქსელის ექსპლოატაციისათვის გათვალისწინებული ხარჯი;

ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია 231,0 ათასი ლარი, დაფინანსდება ქ.საგარეჯოში კახეთის გზატკეცილის ქ. 10ა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია, სამუშაოების მონიტორინგი და რგფ-ს თანადაფინანსება;

კეთილმოწყობა 546,7 ათასი ლარი, ეს არის საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაციის ქვეპროგრამაში გათვალისწინებული 3 კატეგორიის 4 ერთეული ავტობუსის შესყიდვის, მათი გეგმიური ფლობის შესყიდვის და დაზღვევის, საკადასტრო-აგეგმვითი ნახაზების შესყიდვის, საპრივატიზაციოდ მომზადებული ობიექტების შეფასების და საიჯარო ქირისგანსაზღვრის მიზნით საექსპერტო მომსახურების ხარჯები;

დასუფთავება და გარემოს დაცვა დაფინანსდება 4036.7 ათასი ლარით (2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 61.5 %-ით, დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით შემცირებულია 29.2 %-ით), მათ შორის:

დასუფთავება და ნარჩენების ბატანა 530,0 ათასი ლარი,გათვალისწინებულია ქ.საგარეჯოს ქუჩების დასუფთავების და საგარეჯოს მუნიციპალიტეტსა და ა.(ა).ი.პ.-მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალურ სააგენტოსთან დელეგირების ხელშეკრულების თანახმად უფლებამოსილებების ეფექტიანიგანხორციელების მიზნით 2025 წლის საწევრო გადასახადი;

შ.პ.ს. „სუფთა მუნიციპალიტეტი 2018“ დაფინანსდება 2356,0 ათასი ლარით;

მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება 1150.7 ათასი ლარით, გათვალისწინებულია სოფლებში: თოხლიაურში სკვერის მოწყობა, გიორგიწმინდაში სკვერის რეაბილიტაცია, ქ.საგარეჯოში: ჯაფარიძის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია, კახეთის გზატკეცილი 13ბ კორპუსის მიმდებარედ სკვერის მოწყობა, სამუშაოების მონიტორინგის შესყიდვის ხარჯი და რგფ-ს თანადაფინანსება.

განათლება დაფინანსდება 7856,7 ათასი ლარით, (2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 43,1 %-ით, დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით 22,9 %-ით), მათ შორის:

სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებაზე (ა(ა)იპ „სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების გათვალისწინებულია 6983,3 ათასი ლარი;

სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობაზე 565,8 ათასი ლარი, განხორციელდება სოფელ დუზაგრამაში ქართული ენის შემსწავლელი ცენტრის მშენებლობა, დაფინანსდება სამუშაოების მონიტორინგის ხარჯი;

ა(ა)იპ „საბარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება; 263,5 ათასი ლარი;

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში 44,1 ათას 2ლარი, პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებია: მასწავლებლის საერთაშორისო დღე, საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტი „დიდგორელი“, მედალოსნების დაჯილდოვება, გარემოს დაცვის ღონისძიება სკოლამდელ დაწესებულებებში;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტზე გათვალისწინებულია 5179,2 ათასი ლარი (2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 14,5 %-ით, დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით შემცირებულია 26,4 %-ით),

სპორტის სფეროს განვითარება დაფინანსდება 2628,4 ათასი ლარით, მათ შორის:

ა(ა)იპ; საგარეჯოს 105 კომპლექსური სასპორტო სკოლა; 99,5 ათასი ლარით;

სპორტის განვითარების ხელშეწყობა (ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება 1309,5 ათასი ლარით;

რაგბის განვითარების ხელშეწყობა (ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ვეფხვები“) 630,0 ათასი ლარით;

ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა (შ.პ.ს.“საფეხბურთო კლუბი გარეჯი“) - 362,0 ათასი ლარით;

სპორტული ღონისძიებები 127,4 ათასი ლარით, პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები: სასკოლო ოლიმპიადაში გამარჯვებული გუნდებისათვის ფორმების შეძენა, სასკოლო ლიგა „თავისუფლების თამაშები“, მუნიციპალიტეტის თასი მინი ფეხბურთში ორგანიზაციებს შორის, თანხის ჩარიცხვა ქართული ჭიდაობის კახეთის ფედერაციისთვის-ქართული ჭიდაობის განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის დაგეგმილი ღონისძიებებისთვის, სპორტული ინვენტარის შეძენა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებებისთვის, პრიზების შეძენა ფალავნების დასაჯილდოვებლად, წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოვება (წახალისების წესის შესაბამისად), საგარეჯოელი სპორტსმენების სამოვლინებო თანხები საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებზე, სპორტი ბარიერების გარეშე, გოგა მაისურაძის სახელობის ტურნირი მინი ფეხბურთში, მუნიციპალიტეტის თასი ფრენბურთში ორგანიზაციებს შორის, სპორტულიფესტივალი ღია ცის ქვეშ, შშმ პირთა სპორტული თამაშის „ბოჩას“ განვითარება და ხელშეწყობა, შშმ პირთა და ომის ვეტერანთა ააიპ,„ახალგაზრდული მედია-კავშირის“ სპორტულ ფესტივალში მონაწილეობის უზრუნველყოფა, სპორტსმენთა ტრანსპორტირების ხარჯი;

სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა 100,0 ათასი ლარი, გათვალისწინებულია სპორტული ობიექტების მიმდინარე რემონტის ხარჯი.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

არჩეული არიან

გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილი

***არჩეულია** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ*

დაიბადა 1965 წლის 31 მაისს.

1998-2002 წლები – საგარეჯოს რაიონის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის კომისიის თავმჯდომარე.

2002-2004 წლები – სოფელ თოხლიაურის საკრებულოს თავმჯდომარე.

2004-2006 წლები – საგარეჯოს რაიონის ასოცირებული საკრებულოს თავმჯდომარე.

2006-2008 წლები საგარეჯოს რაიონის გამგებლის პირველი მოადგილე.

2008-2013წწ – საგარეჯოს რაიონის გამგებლის მოადგილე.

2014-2017წწ – საგარეჯოს რაიონის საკრებულოს დეპუტატი;

2017-2021წწ – საგარეჯოს რაიონის საკრებულოს დეპუტატი, ფრაქციის თავმჯდომარე;

2021-2024 წლის 27 დეკემბრამდე – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

202 წლის 27 დეკემბრიდან არჩეულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ლევან როსტიაშვილი

***არჩეულია** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ*

დაიბადა სოფელ პატარა ჩაილურში.

1999 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა.

2000 წლიდან 2004 წლამდე სწავლობდა და დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი იურისტის კვალიფიკაციით.

2005-2006 წლები – შპს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალში „ელექტრომომარაგების სამმართველო“ – წამყვანი ინჟინერი.

2009-2010 წლები საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მთავარი სპეციალისტი.

2012-2015 წწ იყო შპს „felimaska-ge-“ -სამსახურის უფროსი.

2018 წლის ივლისიდან 2019 წლის მარტამდე მუშაობდა პატარა ჩაილურში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლად.

2019 წლის აპრილიდან 2020 წლის იანვრამდე – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი.

2021 წლიდან 2025 წლის 15 იანვრამდე – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე.

2025 წლის 15 იანვრიდან არჩეულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ

ჰყავს მეუღლე და 3 შვილი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

17 დეკემბერი, 2024 წელი

<u>**დასასრული**</u>

კულტურის სფეროს განვითარება დაფინანსდება 2244,8 ათასი ლარით, მათ შორის:

ა(ა)იპ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა 306,9 ათასი ლარი;

ა(ა)იპ კულტურის ობიექტების გაერთიანება; 1307,9 ათასი ლარი;

კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა 315,0 ათასი ლარი, აქედან 105,0 ათასი ლარი გათვალისწინებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტების შესყიდვისათვის, მუნიციპალიტეტის ტურისტული ბაზრის ცნობადობის და ტურისტების რაოდენობის ზრდის თვალსაზრისით ქვეპროგრამაში გამოყოფილია 190,0 ათასი ლარი შემდეგ ტურისტულ ღონისძიებებზე: საინფორმაციო ფლაერებისა და ბუკლეტების დამზადება, ბრენდირებული მაისურების და კეპების ბეჭდვა, მონაცემთა ბაზების დიფერენცირება (განახლება), საინფორმაციო დაფების განთავსება, საგარეო კურსის განვითარება-საერთაშორიო ცნობადობის გაზრდა და სტრატეგიულ პარტნიორებთან თანამშრომლობა (გერმანია, იტალია, ჰოლანდია), ფესტივალებისა და სხვადახვა ტურისტული - კალენდარული ღონისძიებების განხორციელება, ნუშის ყვავილობა მლაშე ტბა. ტური უდაბნოს მისადგომებთან, მედია ტური „ღვინის გზა“- შატოებისა და მარნების მონახულება, გარეჯობა, გიდებისა და ინფო ტური, დავით გარეჯი-ყორუღი -მარიამჯვრის-კოდის ტურისტული მარშრუტი, ეკოტური - ჩირის ქარხნის ტერიტორიის დათვალიერება და მონახულება მდგრადი ენერგეტიკის კვირეულის ფარგლებში, ვაზის სამშობლო-ტური ხაშმში და მანავში (საფერავისა და მანავის მწვანეს ჯიშების გაცნობა), ყველის ფესტივალი უდაბნოში, მთის ფესტივალი, ტრენინგი-გადამზადება მცირე და საშუალო მეწარმეების- ტრენერის მოწვევა, კონკურსი-აღმოაჩინე საგარეჯო (ახალი ტურისტული ლოკაციების აღმოჩენისა პოპულარიზაციის მიზნით), ვიდეორგოლი „ეს საგარეჯოა“, გმირთა სავანის, როგორც ტურისტული მოსაცდელისა და მოსასვენებელი სივრცის მოწყობა,

საგარეჯოს ცენტრალურ მოედანზე შემინული- განათებული სტენდების მოწყობა „საგარეჯოს წარსული და აწმყო, ბრენდირებული სუვენირების წინასწარ მომზადება(კალმები, ჭიქები, მაგნიტენი), ცენტრალურ უბნებში მოსაცდელების ღკოდებით აღჭურვა და განათება, ელექტრო დამტენები, საგარეჯოს რუკების დამონტაჟება.

კულტურული ღონისძიებები 315,0 ათასი ლარი, განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: სახალხო დღესასწაული „გარეჯობა“, საახალწლო ღონისძიება, ღონისძიებები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან, ტრენინგები კულტურის სფეროში (ფოტოგრაფია, ფერწერა, ქართული ხეროოთმოძღვრება და სხვ.), სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კონკურსები, ჭაჭის ფესტივალი, თეატრალური ფესტივალი, სასაჩუქრე წიგნების შეძენა, გაზეთი „გურჯისტანის“ შეძენა, მასწავლებლის საერთაშორისო დღე, თელავის კლასიკური მუსიკის ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“ (თანადაფინანსება), გიორგი ლეონიძის პრემია (საქართველოს მწერალთა შემოქმედებით კავშირს, თანადაფინანსება),

პროექტი „ჩემი კუთხე, ქართული სიმღერის ფესტივალი, ნაქსოვი ხალიჩების გამოფენა, გივი აბულაძის წიგნის „გარეჯელ ხელოვანთა ქრონიკები“-ის გამოცემა , ნუკრი კაპანაძის კონცერტი, პროგრამის ფარგლებში ტრანსპორტით მომსახურება;

ახალგაზრდობის მხარდაჭერა 235,0 ათასი ლარი, განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: ლეპტოპების შეძენა სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის, ქართული წიგნების აქცია აზერბაიჯანულენოვან სკოლებში, წიგნის საერთაშორისო დღე 23 აპრილი, 3 დეკემბერი - შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე, მერიის სტიპენდიანტი, მეგობრობის დღე (ეთნიკური უმცირესობები), გოგონათა ბანაკი ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობით, წარმატებული ახალგაზრდების დაჯილდოვება, ახალგაზრდული კომიტეტის მხარდაჭერა, საზაფხულო სკოლა მაღალმთიან ზონაში-უდაბნოსა და აზერბაიჯანულენოვან სოფლებში, გამწვანების აქცია, სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისა და მოზარდების ხელშეწყობა, 21 მარტი დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე, მხიარული სოფელი (გასართობი ღონისძიებები), საახალწლო ფესტივალი, ახალგაზრდული ბანაკი, კალიგრაფიის კონკურსი, ახალგაზრდული ფესტივალი, სემინარი სტუდენტებისა და მოსწავლეებისთვის, პროგრამის ფარგლებში ტრანსპორტით მომსახურება;

საგამოცემლო საქმიანობა (გაზეთი „გარეჯის მაცნე“) 71,0 ათასი ლარი; ***ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა*** დაფინანსდება 3191,5 ათასი ლარით (2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 15,2 %-ით, დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით შემცირებულია 17,2 %-ით), აქედან

ჯანმრთელობის დაცვა 289,5 ათასი ლარია, მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა 281,4 ათასი ლარით;

სოფლის ამბულატორიების ხელშეწყობა და ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია 8,1 ათასი ლარით, პროგრამით გათვალისწინებულია სოფელ უდაბნოს ამბულატორიის ექიმის ხელფასზე დანამატის დაფინანსება;

სოციალური დაცვა 2902,0 ათასი ლარი, დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 17,1 %-ით (423,1 ათასი ლარი), დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით 9,7 %-ით (256,3 ათასი ლარი), მათ შორის:

პირველი და მეორე ახალდაბადებული ბავშვიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა 29,0 ათასი ლარი;

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა 80,0 ათასი ლარი;

ბავშვთა კვების დაფინანსების პროგრამა 30,0 ათასი ლარი;

უდედმამო ბავშვების დახმარების პროგრამა 23,8 ათასი ლარი;

შშმ 18 წლამდე ბავშვთა დახმარების პროგრამა 118,2 ათასი ლარი;

შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა 261,6 ათასი ლარი;

მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების დახმარების პროგრამა 6,0 ათასი ლარი;

რეინტეგრირებული ოჯახების ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა 5,0 ათასი ლარი; სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საყოფაცხოვრებო აუცილებელი ტექნიკის შეძენა 10,0 ათასი ლარი;

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა 765,8 ათასი ლარი;

მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა 300,0 ათასი ლარი;

ონკოლოგიურ პაციენტთა დახმარების პროგრამა 239,5 ათასი ლარი;

ბიკარბონატიული ჰემოდიალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა 62,4 ათასი ლარი;

ელექტროენერგიის და გაზის გადასახადის დაფინანსების პროგრამა 56,0 ათასი ლარი;

მოწყვლადი ჯგუფების გათბობის ხარჯით დახმარების პროგრამა 120,0 ათასი ლარი;

სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისათვის საკვების გაცემა დღესასწაულებზე 180,0 ათასი ლარი;

მოსახლეობის ტრანსპორტირების პროგრამა 25,0 ათასი ლარი;

ხანდაზმულ (95 და მეტი წლის) პირთა დახმარების პროგრამა 6,0 ათასი ლარი;

უპატრონო და სოციალურად დაუცველი მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა 50,0 ათასი ლარი;

სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ ფართებში მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა 20,0 ათასი ლარი;

მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა 45,0 ათასი ლარი;

უმწეოთათვის უფასო სასადილოების დაფინანსება 392,5 ათასი ლარი;

ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა 10,5 ათასი ლარი;

წითელი ჯვრის დაფინანსების პროგრამა 25,7 ათასი ლარი;

სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის დაფინანსება 40,0 ათასი ლარი;

ბიუჯეტის პროექტში მუნიციპალიტეტის კომპეტენციის სფეროში / დარგში / მიმართულებაში გათვალისწინებულია გენდერული თანასწორობის ასპექტები, აგრეთვე გაეროს მდგრადი განვითარების ყველა ის მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამები. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2025-2028 წლები);

2. ინფორმაცია ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების,მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;

3. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;

4. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;

5. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შ.პ.ს.-ების შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ;

მოსმენილი საკითხის ირგვლივ გამოითქვა აზრი და კენჭი ეყარა საკითხის დამტკიცებას..

სხდომაზე დღის წესრიგის საკითხი – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ“ სხდომის მონაწილეებს ამავე ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ*** **ალექსი ბილაშვილმა** გააცნო. წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი კანდიდატურა – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილის კანდიდატურა. ხმების დათვლის შემდეგ დამტკიცდა **გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილის** კანდიდატურა.

დღის წესრიგის შემდეგ საკითხებზე:

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხის და თანმდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №37 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა*** **კახაბერ მარგებაძემ.**

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საკრებულოს აპარატის პროფესიულ მოხელეთა თანამდებობრივი და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ*** **ელენე სამხთუაშვილმა.**

საკითხი „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის პერსონალური სერვისის პროგრამა“ დასამტკიცებლად სხდომის მონაწილეებს გააცნო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ***ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სამსახურის უფროსმა*** **სოფიო შაძარაშვილმა.**

სხდომის მონაწილეებმა წარმოდგენილ საკითხებზე გამოთქვეს მოსაზრებები.

სიკეთის ბილიკებით

ბარბარე, მარიამი, გიორგი, ლუკა, საბა, ლაზარე, ციცი, ემილი, ზოხრატი... 300 - ამდე ბავშვს ვაჩუქეთ ბედნიერება...

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის, **ავთანდილ გულიკაშვილის** ინიციატივით, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდული სამსახურის თანამშრომლებმა, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვების საახალწლო სურვილების შესახებ მოიძიეს ინფორმაცია ისე, რომ მათთვის მერის გადაწყვეტილება სიურპრიზად დარჩენილიყო...

დაიწყო აქტიური მზადება და რამდენიმე დღეში, ახალგაზრდული სამსახურის გუნდმა მოძიებული სურვილების შესაბამისი ფასიანი საჩუქრების შეძენა დაასრულა, შეფუთა და ადრესატების მიხედვით მერის მისალოც გზავნილებთან ერთად გადაანაწილა...

30 დეკემბერს, საჩუქრების დარიგება დაიწყო, ახალ წელს -კი ყველას ნატვრა რეალობად იქცა...

„ჩემო პატარა მეგობარო, გილოცავ ახალ 2025 წელს! გისურვებ ჯანმრთელობას, სილაღეს, დღეგრძელობასა და დასახული მიზნების განხორციელებას! მიიღე ეს მცირედი საჩუქარი ჩემგან და იცოდე, რომ შენ ხარ ჩვენი მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის ნათელი მომავალი. გადავწყვიტეთ, რომ პრიორიტეტად თქვენი სიხარული ვაღიაროთ. თქვენ, ოჯახების გამორჩეულ წევრებს- ბავშვებს გულები გაგითბოთ და მხარში დაგიდგეთ. გჯეროდეს, რომ კეთილი სურვილები და ოცნებები სრულდება. დაგბედებოდეთ ნატვრის ახდენა!

საუკეთესო სურვილებით ,
ავთანდილ გულიკაშვილი

საგარეჯოს მუნიციპალიეტის მერის - **ავთანდილ გულიკაშვილის** ინიციატივით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ყველა აღსაზრდელს საახალწლო საჩუქრები გადაეცა.

მუნიციპალიტეტის მერი ბაღებს ესტუმრა, საახალწლო ღონისძიებებს დაესწრო, პედაგოგებსა და აღსაზრდელებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა და ბავშვებს ტკბილეული თავად გადასცა.

წინასაახალწლო განწყობას კიდევ უფრო მეტი სიხარული შესძინა გაჟღერებულმა ინფორმაციამ:

- ჩემი მიზანია, რომ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი წარიმართოს კომფორტულ და შესაბამის გარემოში, ამისათვის მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და აქვე მინდა გამცნოთ სასიხარულო ინფორმაცია, რომ მომავალი წლიდან ბაღებს ავეჯი და ახალი - თემატური სათამაშოების კოლექციები შეემატება.

ბავშვის გონებრივი განვითარებისა და შემეცნებითი აქტივობებისთვის აუცილებელია სათამაშოების მუდმივი განახლება, ჩვენ ეს პროცესი დავიწყეთ და ახალი სემესტრიდან, სასწავლო პროცესს აღსაზრდელები ახალ გარემოში გააგრძელებენ - განაცხადა **ავთანდილ გულიკაშვილმა.**

საგარეჯოს ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ*** **ალექსი გილაშვილმა,** სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა და ოჯახებს სასაჩუქრე კალათები, პროდუქტი და სათამაშოები გადასცა.

მარი აზარიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პრესსპიკერი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის - ავთანდილ გულიკაშვილის დავალებით, ჯანდაცვის და სოციალურმა სამსახურმა უკვე ტრადიციად აქცია მოწყვლადი ჯგუფებისთვის საახალწლო განწყობის შექმნა და მომავლის იმედის დაბედება.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სოციალურად დაუცველ 1200 ოჯახს რამდენიმე სახეობის საკვები პროდუქტის ამანათები გადაეცა, რომელიც შემდეგ სამიზნე ჯგუფებს მოიცავდა: სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანები, მარტოხელა ხანდაზმულები, დღის ცენტრის, „სათნოების სახლისა“ და სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარები და მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლები. **ავთანდილ გულიკაშვილი** ბენეფიციარებს თავად ესტუმრა, ახალი წელი მიულოცა და სასაჩუქრე ამანათები გადასცა.

"ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ახალი წელი ამ ოჯახებისთვის იყოს იმედის მომცემი, თითოეული მათგანი ადგილობრივი თვითმართველობის მხრიდან უნდა გრძნობდეს ზრუნვასა და მხარდაჭერას. სწორედ ამ მიზნით, წელს ბენეფიციართა რაოდენობა გავზარდეთ და ამანათების ასორტიმენტი გავამრავალფეროვნეთ.

ეს იქნება დასაწყისი იმ დიდი წამოწყებებისა, რასაც სამომავლოდ კვლავ გავაგრძელებთ" - **განაცხადა ავთანდილ გულიკაშვილმა.**

გადაეცათ ეტლები და ტკბილეული

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სამსახურის ორგანიზებით და საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ მხარდაჭერით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა, **ავთანდილ გულიკაშვილმა**, რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირს, წინასწარ შერჩეული სტანდარტებისა და ზომის გათვალისწინებით, ეტლები გადასცა და ტკბილეულის ნობათებით დამდეგი შობა მიულოცა.

„ჩვენი მიზანია, მაქსიმალური მხარდაჭერა გამოვხატოთ მსგავსი პრობლემების მქონე მოქალაქეების მიმართ და მდგომარეობა შევუმსუბუქოთ, ეს პროგრამა გაგრძელდება და ეტაპობრივად ყველა ბენეფიციარს დავაკმაყოფილებთ". - საუბრისას აღნიშნა **ავთანდილ გულიკაშვილმა.**

ქეთი გრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

2025 წლის საეკლესიო კალენდარი

20 აპრილი — ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი

ათორმეტთაგან მოძრავნი: 13.04 - ბზობა; 29.05 - ამაღლება; 8.06 - სულთმოფენობა.

ათორმეტთაგან უძრავნი: 7.01 - იესო ქრისტეს შობა; 19.01 - ნათლისღება; 15.02 - მირქმა; 7.04 - ხარება; 19.08 - ფერისცვალება; 28.08 - მარიამობა; 21.09 - შობა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელისა; 27.09 - ჯვართამაღლება; 4.12 - ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება.

დიდი დღესასწაულები: 14.01 - წინადაცვეთა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი; 27.01, 1.06 - ნინოობა; 25.02 - დღესასწაული ივერიის ღვთისმშობლის ხატისა; 6.05, 23.11 - გიორგობა; 12.05 - საქართველოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღე; 12.05, 13.12 - ხს. წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა; 14.05 - თამარობა; 22.05, 19.12 - ნიკოლოზობა; 9.06 - სამებობა; 7.07 - შობა იოანე ნათლისმცემლისა; 12.07 - პეტრე-პავლობა; 13.07 - სვეტიცხოვლობა — კრება წმ. დიდებულთა ათორმეტთა მოციქულთა; 29.08 - ანჩისხატობა; 11.09 - თავისკვეთა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისა; 14.10 - კვართისა საუფლოისა და სვეტისა მირონმდინარისა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საფარველი — სვეტიცხოვლობა; 17.12 - ბარბარობა;

საეკლესიო სამახსოვრო დღეები: 4.01 - სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაბადების დღე; 25.03 - საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე; 2.08 - ანგელოზის დღე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა ილია II-ისა; 25.12 - აღსაყდრების (ინტრონიზაციის) დღე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა ილია II-ისა.

მარხვები: დიდი მარხვა 3.03-დან 20.04-მდე; პეტრე-პავლობის მარხვა 16.06-დან 12.07-მდე; მარიამობის მარხვა 14.08-დან 28.08-მდე; შობის მარხვა 28.11-დან 7.01-მდე.

მიცვალებულთა მოსახსენებელი დღეები: ხორციელის შაბათი 22.02; დიდმარხვის მე-2 შაბათი 15.03; დიდმარხვის მე-3 შაბათი 22.03; დიდმარხვის მე-4 შაბათი 29.03; თომას კვირის სამშაბათი 29.04; სულის შაბათი 7.06; დიმიტრის შაბათი 1.11.

ერთდღიანი მარხვები: ყოველი შვიდეულის ოთხშაბათი და პარასკევი, გარდა მსგეფსისა; ნათლისღების წინა დღე 18.01; იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის დღე 11.09; ჯვართამაღლება 27.09.

იანვარი

ოხ		6	13	20	27
სმ		7	14	21	28
ოთ	1	8	15	22	29
ხთ	2	9	16	23	30
პხ	3	10	17	24	31
შბ	4	11	18	25	
კვ	5	12	19	26	

თებერვალი

ოხ		3	10	17	24
სმ		4	11	18	25
ოთ		5	12	19	26
ხთ		6	13	20	27
პხ		7	14	21	28
შბ	1	8	15	22	
კვ	2	9	16	23	

მარტი

ოხ	3	10	17	24	31
სმ	4	11	18	25	
ოთ	5	12	19	26	
ხთ	6	13	20	27	
პხ	7	14	21	28	
შბ	1 8	15	22	29	
კვ	2	9	16	23	30

აპრილი

ოხ		7	14	21	28
სმ	1	8	15	22	29
ოთ	2	9	16	23	30
ხთ	3	10	17	24	
პხ	4	11	18	25	
შბ	5	12	19	26	
კვ	6	13	20	27	

მაისი

ოხ		5	12	19	26
სმ		6	13	20	27
ოთ		7	14	21	28
ხთ	1	8	15	22	29
პხ	2	9	16	23	30
შბ	3	10	17	24	31
კვ	4	11	18	25	

ივნისი

ოხ	2	9	16	23	30
სმ	3	10	17	24	
ოთ	4	11	18	25	
ხთ	5	12	19	26	
პხ	6	13	20	27	
შბ	7	14	21	28	
კვ	1 8	15	22	29	

ივლისი

ოხ		7	14	21	28
სმ	1	8	15	22	29
ოთ	2	9	16	23	30
ხთ	3	10	17	24	31
პხ	4	11	18	25	
შბ	5	12	19	26	
კვ	6	13	20	27	

აგვისტო

ოხ		4	11	18	25
სმ		5	12	19	26
ოთ		6	13	20	27
ხთ		7	14	21	28
პხ	1	8	15	22	29
შბ	2	9	16	23	30
კვ	3	10	17	24	31

სექტემბერი

ოხ	1	8	15	22	29
სმ	2	9	16	23	30
ოთ	3	10	17	24	
ხთ	4	11	18	25	
პხ	5	12	19	26	
შბ	6	13	20	27	
კვ	7	14	21	28	

ოქტომბერი

ოხ		6	13	20	27
სმ		7	14	21	28
ოთ	1	8	15	22	29
ხთ	2	9	16	23	30
პხ	3	10	17	24	31
შბ	4	11	18	25	
კვ	5	12	19	26	

ნოემბერი

ოხ		3	10	17	24
სმ		4	11	18	25
ოთ		5	12	19	26
ხთ		6	13	20	27
პხ		7	14	21	28
შბ	1	8	15	22	29
კვ	2	9	16	23	30

დეკემბერი

ოხ	1	8	15	22	29
სმ	2	9	16	23	30
ოთ	3	10	17	24	31
ხთ	4	11	18	25	
პხ	5	12	19	26	
შბ	6	13	20	27	
კვ	7	14	21	28	

ფეხბურთი

„გარეჯი-1960“ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში – პირველ ლიგაშია

ფეხბურთის გარეჯელი გულშემატკივრისთვის, ამ სამიოდე წლის წინაც კი ვინმეს რომ ეთქვა – გარეკახური გუნდი საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ეშელონში იქნება იქ დაიცავს ჩვენი კუთხის და არა მარტო მათ ინტერესებსო, ამ სიტყვების მთქმელს გიჟად მიიჩნევდა, არა თუ დაუჯერებდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი ისიც იყო, რომ საგარეჯოში კი არსებობდა საფეხბურთო ჯგუფები, სადაც პატარები ფეხბურთის ანა-ბანას სწავლობდნენ, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც მოყვარულთა დონეზე ხდებოდა. კი იზრდებოდნენ საგარეჯოში თითოორორლა ფეხბურთელები, თუმცა ეს ძირითადად ენთუზიაზმის შედეგად ხდებოდა.

რამდენჯერმე იყო მცდელობა თბილისელ ბიზნესმენებს მოეკიდათ ხელი ჩვენთან საფეხბურთო საქმისათვის, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა.

ასე მიდიოდა საფეხბურთო ცხოვრება, როდესაც ამ საქმეს ხელი მოჰკიდა იმ დროისათვის აქტიური ფეხბურთიდან წამოსულმა ჩვენმა თანამემამულემ, ქართულ და არა მარტო ქართულ ფეხბურთში ცნობილმა ადამიანმა **ლაზარე (ლადო) დათუნაშვილმა.**

მკითხველს შევახსენებთ, რომ იგი არცთუ შორეულ წარსულში წარმატებით იცავდა საქართველოს უმაღლესი ლიგის გუნდების: „ლოკომოტივის“, „ცხინვალის“, „მერანის“, „ბორჯომის“ ღირსებას, შემდეგ კი თამაშობდა საზღვარგარეთ – იყო ლატვიური გუნდების – ***„დაუგავასპილსისა“*** და ***„სკონტოს“*** წამყვანი მოთამაშე... მოკლედ რომ ვთქვათ, შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „გარეჯი-1960“ და მან ასპარეზობა საქართველოს ჩემპიონატის მეხუთე ლიგიდან დაიწყო. დაიწყო და სამიოდე წელში მეორე ლიგაში აღმოჩნდა.

ყველა ელოდა, რომ მეორე ლიგაში გარეჯი ადგილს ვერ შეინარჩუნებდა და თუ პირდაპირ არ „გავარდებოდა, „პლეი აუტში“ მაინც მოხვდებოდა, მაგრამ ყველა პესიმისტური პროგნოზი „ჩავარდა“. გარეჯი არა თუ გავარდა ლიგიდან, კინადამ „პლეი-ოფს“ უწია – მეოთხე ადგილი დაიკავა.

შემდეგ წელს გარეკახელმა გულშემატკივრებმა მართლაც სერიოზულად ინერვიულეს, როცა ცოტა დააკლდათ პირველ ლიგაში გადასვლას, თუმცა ეს ოცნება უკვე 2024 წელს აისრულეს, როცა ერთი ტურით ადრე გაინაღდეს უმაღლეს დივიზიონში თამაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავი ამ წარმატებაში ისაა, რომ „გარეჯი-1960“ წარმატებებმა ჩვენი მუნიციპალიტეტის ბავშვებში უზარმაზარი დაინტერესება გამოიწვია და დღეისათვის თითქმის ყველა ასაკის საფეხბურთო ჯგუფები ეწევიან სერიოზულ მუშაობას მათთან, რაც ადგილობრივი, ნიჭიერი ფეხბურთელების თაობის წამოსვლას და, რაც თავის მხრივ გარეჯული და მთლიანად ქართული ფეხბურთის აღმავლობის გარანტიასაც მოგვცემს...

ქართული ფეხბურთი დღეს აღმავლობის გზაზე რომაა, ამას ჩვენი ქვეყნის ნაკრების გასული წლის წარმატებებიც, უფრო სწორედ ტრიუმფიც ადასტურებს, როცა ევროპის ჩემპიონატის უძლიერესი ჯგუფიდან გააღწია და მერვედფინალში მომავალ მსოფლიო ჩემპიონ ესპანეთთან დამარცხდა. ვინ იცის, ბედს რომ არ ემუხთლა და სხვა რომელიმე მეტოქე შეგვხვედროდა, იქნებ ჩვენს ბიჭებს უკეთესი შედეგიც ეჩვენებინათ, კიდევ უფრო წინ წასულიყვნენ ჩემპიონობისაკენ მიმავალ გზაზე.

ჰოდა, ჩვენც გვჯერა, რომ „გარეჯი-1960“ კიდევ არაერთხელ გაგვახარებს და ამჯერად უკვე საერთაშორისო ასპარეზზე.

ბუნებრივია, ჩვენ ჩემპიონატის დამთავრებისთანავე ვაპირებდით ამ წარმატებების სულისჩამდგმელ ადამიანთან ინტერვიუს ჩაწერას, მაგრამ შემდეგ ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტეთ ეს საუბარი სეზონის გახსნის წინა პერიოდისთვის გადაგვეტანა, როცა გუნდი ძირითადად დაკომპლექტებული იქნება და უფრო ბევრ საინტერესო ინფორმაციას მივაწვდიდით ჩვენს მკითხველებს.

მოგეხსენებათ, პირველი ლიგა სულ სხვა დონეა და გუნდს სერიოზული გაძლიერება სჭირდება. მოსაგვარებელია უამრავი საორგანიზაციო საკითხი – მათ შორის სტადიონის, რადგანაც ხელოვნურსაფარიან მინდორზე პირველ ლიგაში თამაში არ შეიძლება. მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ეს საკითხიც უახლოეს ხანში დადებითად გადაწყდება. ასე, რომ ლაზარე დათუნაშვილის ინტერვიუს ცოტა მოგვიანებით შემოგთავაზებთ, დღევანდელ ნომერში კი გუნდის ***მთავარი მწვრთნელი*** **თენგიზ პობიაშვილი** უპასუხებს ჩვენს კითხვებს.

– პირველ რიგში გილოცათ უდიდეს წარმატებას, საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში – პირველ ლიგაში გადასვლას. ეს მართლაც საოცარი შედეგია. საგარეჯოში ფეხბურთის ტრადიციები, რა თქმა უნდა არსებობდა, მაგრამ ძირითადად მოყვარულთა დონეზე და ალბათ ყველაზე ოპტიმისტი გარეჯელებიც კი ვერ გაბედავდნენ ამაზე ფიქრს. და მაინც, თქვენი, მთელი გუნდის, თითოეული ფეხბურთელის და ამ ყველაფრის სულისჩამდგმელის ლაზარე (ლადო) დათუნაშვილის ძალისხმევით, ზღაპრული წარმატება მოვიდა.

იქნებ გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრება, როგორ მოხერხდა ეს, მით უფრო, რომ სეზონი არცთუ წარმატებით დაიწყეთ...

– მადლობა მოლოცვისათვის. რაც შეეხება სეზონის მიმდინარეობას, ყოველთვის ყველაფერი ისე არ მიდიოდა, როგორც გვინდოდა, ყოველთვის წარმატება ვერ იქნება, მაგრამ ჩვენც დავლაგდით და მიზანსაც მივაღწიეთ.

– ვის გამოყოფდით ფეხბურთელებიდან, ვის მიუძღვის განსაკუთრებული წვლილი ამ წარმატებაში?

– გამოყოფით ვერც ერთ ფეხბურთელს ვერ გამოვყოფ. ყველამ თავი დადო ამ წარმატებისათვის. გუნდში შეუცვლელი ფეხბურთელი მგონი არ გვქავდა. მართალია, ზოგს მეტად უწევდა თამაში, ზოგს ნაკლებად, მაგრამ ყველას შეცვლა შეიძლებოდა.

– რამდენადაც ვიცი, „გარეჯის“ წარმატებებმა ბოლო წლებში უამრავი ბავშვი მიიყვანა საფეხბურთო წრეებში, მათ შესახებ რას გვეტყვით, როგორ პერსპექტივას ხედავთ ამ კუთხით?

– მართლა ძალიან ბევრი ბავშვი ვარჯიშობს ფეხბურთში და დარწმუნებული ვარ მათი მონდომება ნაყოფს გამოიღებს და რამდენიმე წელში ჩვენი გუნდი მათგან კარგ შევსებას მიიღებს.

– მომავალ სეზონზეც გკითხავთ. ერთია მეორე ლიგის მოგება და სულ სხვაა პირველ ლიგაში თამაში. რას აპირებთ, გაძლიერებას თუ აპირებთ, ან რა გეგმები გაქვთ, იქაც იბრძოლებთ პირველობისათვის?

– ამაზე ასე გიპასუხებთ. თქვენ კარგად იცნობთ ჩვენს პრეზიდენტს ლადო დათუნაშვილს და მის მონდომებას. აქ წამოსვლას იმიტომ დავთანხმდი, რომ ეს გუნდი არასოდეს ყოფილა აუტსაიდერთა შორის, არასოდეს უბრძოლია ლიგაში დარჩენისათვის, ყოველთვის მაღალი მიზნებისათვის იბრძოდა და დარწმუნებული ვარ ასევე გავაგრძელებთ. გვესმის, რომ პირველ ლიგაში ლიდერებში ყოფნა გაჭირდება, მაგრამ არც იმას ვაპირებთ, რომ აუტსაიდერებში ვიყოთ.

– როცა გარეჯი მეორე ლიგაში გადმოვიდა, მაშინ მქონდა ინტერვიუ თქვენს პრეზიდენტთან და მაშინ თითქოსდა ხუმრობით ვკითხე, – ასეთი ტემპით წინსვლას თუ გააგრძელებთ, შესაძლოა მალე უეფას ტურნირებზეც ვიხილოთ-მეთქი „გარეჯი-1960“. ამაზე თქვენ რას იტყვით?

– ფიქრში ყოველთვის არის ასეთი რამ. ფეხბურთში კი გამართლებაზეც არის ბევრი რამ დამოკიდებული. ასე, რომ რატომაც არა...

– კიდევ ერთხელ გილოცათ ამ გამარჯვებას და შემდგომ წარმატებებს გისურვებთ. ალბათ გამოვხატავ გარეკახელი გულშემატკივრების ენთუზიაზმს და გეტყვით, რომ თქვენი იმედი გვაქვს.

– დიდი მადლობა.

P.S. ამასობაში ***უკვე გვაქვს 2025 წლის საქართველოს ჩემპიონატის ცხრილი, საიდანაც ვიგებთ, რომ „გარეჯი-1960“ პირველ მატჩს 2 მარტს გორში ადგილობრივ „დილასთან“ გამართავს. საკუთარ მოედანზე პირველი მატჩი კი მეორე ტურში 5 მარტს ბათუმის „დინამოსთან“ აქვს ჩანიშნული, თუმცა სად ჩარტარდება ეს მატჩი, ჯერ გარკვეული არ არის. ასეთი მატჩების ნახვა საინტერესოა და განსაკუთრებით სასარგებლოა პატარა ფეხბურთელებისათვის, რომლების აქედან ბევრ რამეს ისწავლიან და აითვისებენ.***

წარმატებები გარეჯელებს!

ინფრასტრუქტურა-2025

გზები

პატარა ჩაილური

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ინფრასტრუქტურული გარდამავალი პროექტების სამუშაოები განახლდა.

სოფელ პატარა ჩაილურში, ე.წ "ჩიხლძეაანთ უბნის" გზის მოწყობის სამუშაოები აქტიურ ფაზაშია.

ამ ეტაპზე, პირველი ფენით მოასფალტება მიმდინარეობს.

აღნიშნული პროექტი გარდამავალია და სამუშაოები 2025 წლის გაზაფხულამდე დასრულდება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ჩაილურში, ე.წ "ყავრიაანთ უბნის" გზის მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

ამ ეტაპზე, პირველი ფენით მოასფალტების სამუშაოები დასრულების ფაზაშია.

პროექტი გარდამავალია და სამუშაოები მიმდინარე წლის გაზაფხულამდე დასრულდება.

სოფელი ლამბალო

საბავშვო ბაღი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით ინფრასტრუქტურული პროექტების გარდამავალი სამუშაოები განახლდა

სოფელ ლამბალოში 150 აღსაზრდელზე გათვლილი, თანამედროვე სტანდარტების - ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. ***მუნიციპალიტეტის მერმა*** **ავთანდილ გულიკაშვილმა,** ***პირველ მოადგილესთან*** **ემზარი კუჭუშაშვილთან** და ***ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელთან*** **ბექა ფეიქრიშვილთან** ერთად სამუშაოები ადგილზე მოინახულა. პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

ქეთი გრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

სპორტი

კრივი

2024 წლის ფინიშთან

ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების" კრივის სექციის (***მწვრთნელი*** **გიორგი კოხტაშვილი)** მოკრივეებმა წარმატებით გააცილეს 2024 წელი. 19-25 დეკემბერს თბილისში, ახალგაზრდა და უფროსი ასაკის მოკრივეებში ჩატარებულ საქართველოს ჩემპიონატზე ორი გარეჯელი მოკრივე ქვეყნის ჩემპიონი,. ორიც პრიზიორი გახდა.

ახალგაზრდულ ასაკში თავი ისახელა და 54 კგ წონით კატეგორიაში ***ჩემპიონი გახდა*** **ნიკოლოზ თამშამაძე.**

დიდებში ამავე წონით კატეგორიაში ჩემპიონობა არავის დაანება ახალგაზრდებში 2023 წლის საქართველოს ჩემპიონმა **სალომე კავთუაშვილმა.**

წლის ფინიშზე გამართულ ამ ასპარეზობაში ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ (დიდების ასაკში) გიორგი ფოცხვერაშვილი (54კგ) და გიორგი დეკანოზიშვილი (86კგ).

ძიუდო

საქართველოს ჩემპიონი

დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში, 2008-2009 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის, სადაც ყველა შეხვედრა ბრწყინვალე გამარჯვებით დაასრულა და საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა -60კგ წონით კატეგორიაში **ვახო ჭიაბერაშვილმა.**

კადეტ გოგონათა შორის

17 იანვარს თბილისში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი კადეტ გოგონათა შორის ძიუდოში, სადაც საგარეჯოს სპორტული გაერთიანების სპორტსმენმა **ნინო საფარაშვილმა** (44კგ) წარმატებით იასპარეზა და დაიკავა III ადგილი.

მათ ასახელებს საგარეჯო

მუნიციპალიტეტის სპორტსმენთა 2024 წლის საუკეთესო ათეული სპორტის ოლიმპიურ სახეობებში

1. **ნინო ლოლაძე** – საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებში (ძიუდო).

2. **ამირან დარბაისელი** – საქართველოს ჩემპიონი (ძიუდო)

3. **სალომე კავთუაშვილი** – საქართველოს ჩემპიონი (კრივი)



4. **გიორგი დეკანოზიშვილი** საქართველოს პრიზიორი, კრივი

5. **შოთა ბაჩოშვილი** – საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებში (ძიუდო)

6. **ვახტანგ ჯიაბერაშვილი** – საქართველოს ჩემპიონი ძიუდოში (ახალგაზრდები)

ნიკა თავშავაძე – საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებში (კრივი)



9. **თორნიკე თულაშვილი** – საქართველოს II პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში (20 წლამდელები)

8. **თორნიკე ასაბაშვილი** – საქართველოს II პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში, ახალგაზრდები)

10. **გიორგი ფოცხვერაშვილი** – საქართველოს III პრიზიორი კრივში

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდული სამსახურის უფროსს არჩილ ჯაბადარსა და მის მეუღლეს ლია როჭიკაშვილს სიმამრისა და მამის

სერგო როჭიკაშვილის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 23184601;
საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს“-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com